მოკლე ბიოგრაფია
ლევან გოთუა 1986-1997 წლებში სწავლობდა თბილისის მე-6 საშუალო საავტორო სკოლაში. 1997 -2002 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2002 წლის მაისში წარჩინებით დაასრულა. 2002 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტად. 2010 წელს მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“. 2000 წელს გაიარა სტაჟირება ქ. თბილისის საკრებულოში. 2001-2002 წლებში გაიარა სავალდებულო პრაქტიკა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2000-2001 წლებში აკადემიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობდა გერმანიის ქ. ბრემენის უნივერსიტეტში. 2001 წელს იმყოფებოდა ავსტრიის ქ. ინსბურკში როგორც ამ ქალაქის მერის სტიპენდიანტი. 2003-2005 წლებში სწავლობდა გერმანიის ქ. ბრემენის უნივერსიტეტში ჯერ გერმანული სამართლის სამაგისტრო კურსზე, შემდეგ კი ევროპისა და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო კურსზე. ორივე სამაგისტრო პროგრამა დაამთავრა წარჩინებით. შედეგად აქვს Ll.M.-ისა და Ll.M europae-ს სამეცნიერო ხარისხები, 2004-2005 წლებში და 2012 წელს იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის DAAD-ის სტიპენდიანტი და ახორციელებდა სამეცნიერო კვლევას ბრემენის უნივერსიტეტსა და ჰამბურგის უცხოური და საერთაშორისო კერძო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტში. 2021 წლიდან მონაწილეობას იღებს Erasmus + - ის გაცვლით პროგრამაში, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. პროექტის ფარგლებში სალექციო კურსები ჩაატარა გდანსკის უნივერსიტეტში, პოლონეთში, ვალიადოლოდის უნივერსიტეტში, ესპანეთსა და ალკმაარის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ალკმაარში და ნიდერლანდებში. 2005 წელს გაიარა პრაქტიკა გერმანიის ქ. ჰამბურგის საადვოკატო კომპანიებში: “Taylor & Wessing”, “Fischer & Co”. 2005-2006 წლებში იყო სს „თიბისი ბანკის“ კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში; 2006-2007 წლებში სს „ინვესტბანკის“ იურიდიული სამსახურის უფროსი, 2007 წელს ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, 2007-2016 წლებში იყო

იურიდიული კომპანია „ბეგიაშვილი და კომპანიის“ უფროსი იურისტი, ამჟამად არის ამავე კომპანიის უმცროსი პარტნიორი. 2006-2013 წლებშ იყო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი (2006-2011 წლებში მოწვეული სპეციალისტი, 2011-2013 წლებში ასოცირებული პროფესორი). 2013 წლიდან არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
გამოქვეყნებული სტატიები
1. Gotua L., "Expansion of Georgian Financial Sector from Perspective of Association Agreement between EU and Georgia”, L'Europe Unie, volume 22/2025, 93-104 2. გოთუა ლ., ,,საქართველოში უზრუნველყოფილი გარიგებების მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემატიკა”, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, # 6/2023, (ქართულად და გერმანულად), 120-147 3. გოთუა ლ. „საქართველოში არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი”, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, # 3/2022 (ქართულად და გერმანულად), 24-48; 4. გოთუა ლ., „საქართველოში ფინანსური ლიზინგის განვითარების სამართლებრივი პრობლემები“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, #3/2021 (ქართულად და გერმანულად), 59-86; 5. გოთუა ლ., „მიკრობანკები - ახალი სუბიექტი ქართულ საფინანსო სექტორში“, მომზადებულია კავკასიის უნივერსიტეტის მე-9 წლიური კონფერენციის „მეცნიერება - მდგრადი მდგრადი განვითარებისთვის 2024-ის“ ფარგლებში, 10.2024, გამოიცა 2025 წ. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ და მიენიჭა შესაბამისი ISSN: 1987- 8869, გვერდების რაოდენობა - 18; 6. გოთუა ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-873-ე მუხლების კომენტარი, თსუ-ს იურ. ფაკულტეტი, 2020, http://gccc.tsu.ge/, (ქართულად);